№ 2698
სამშაბათი,
14 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

131

№ 2698
სამშაბათი,
14 დეკემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

	ფასი გაზეთისა გაგზავნით წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.	
კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.		საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე" წელიწადი მეთორმეტე

	ფასი ჟურნალისა გაგზავნით ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"	
კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.		საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ უფასოდ გაეგზავნება ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე— დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ჟიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ ჟაზგეგის ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

20 ამა დეკემბერს საარტისტო „საზოგადოების" საკონცერტო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ფერტიგისა, ბ-ნნი ვილშაუ, მესხი კ. ს., მესხიშვილი ა. ი., პოლივკა, რჩეულიშვილი, ტომასევიჩი, ჯაფარიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ბ. ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტის შემდეგ ქართული და ევროპიული ცეკვა.

ბილეთები იყიდება „წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში. (სასახლის ქუჩა, თ.-აზნაურობის ქარვასლა). (5—უ.—2)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის რიცხვში)

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქმ. შილლერისა თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ლეჟავა; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ჩარკვიანი, გედევანოვი, ივანიძე, სარჯველაძე, იორდანაშვილი, წუწუნავა, მეტრეველი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „იულიოს კეისარი", „რუი-ბლაზ", აზრანის ახალი პიესა „სამშობლოს ბურჯნი".

დირექცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი: ქ. მესხი.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. გალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. გეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. (თვ.—2)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—29.)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი მდივნისა № 12. „კრუჟოკის" გვერდით. (30—6.—3)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, გენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—8)

შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო ამით აცხადებს, რომ ამა 1904 წლის 20 დეკემბერს, დღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში, ქუთაისს, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა სამუშაოები მონასტრის-თავდიდის გზაზე ჭიათურის სამრეწველო რაიონში. გზის შესაკეთებელი თანხა 14,326 მან. 44 კაპეიკია.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან საბჭოს კასსაში უნდა შეიტანოს ვაჭრობამდე ნაღდ ფულად საალრიცხვო თანხის 5% ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილი სარგებლიანი ქაღალდები. ვაჭრობა კრების საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (2—6.—1).

ექიმს

იწვევს სოფელი ახალ-ქალაქი

პირობების შეტყობა შეიძლება სოფ. ახალ-ქალაქის სამკითხველოში. რკინის გზის სადგური გრაკალი. (6—3).

ექიმი

ი. ე. გამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიოგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—23)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—19)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

იღეას ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—11)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

კოროლანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი

ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიიმი

ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—22)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მალალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან".

12 დეკემბერი.

ზარაისკი, 12 დეკემბერი. მობილიზაცია წესიერად დასრულდა. სათადარიგო ჯარის-კაცთა საჭიროებისათვის 200 მანეთი შეაგროვეს.

არიოლი, 12 დეკემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა განმარტა, რომ სამხედრო ბეგრის წესდების თანახმად, განთავისუფლებულ არიან სამსახურში გაწვევისაგან იმ საპოლიციო და საზოგადოებრივ ცეცხლის მქრობელთა რაზმებში მოსამსახურე სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელთაც ქალაქები თავის ხარჯით ინახავენ. ცეცხლის მქრობელთა თავისუფალ რაზმებს, როგორც კერძო დაწესებულებებს, ეს შეღავათი არ ეძლევათ.

რიაზანი, 12 დეკემბერი. საგუბერნიო საერობო კრებამ გადასწყვიტა შეუერთდეს საზოგადო საერობო ორგანიზაციას შორეულ-აღმოსავლეთში ავადმყოფთა და დაჭრილთათვის დასახმარებლად და გადასდო ამ საქმისათვის 50 ათასი მანეთი.

ტოკიო, 11 დეკემბერი („რეიტერი"). იაპონელთა ბატარეების ყუმბარები ეხლა „სევასტოპოლ"-ს ხვდება. ერთი ყუმბარა უკვე მოხვდა. ფიქრობენ, რომ მალე ისე დააზიანებენ ამ გემს, რომ ბრძოლისათვის უვარგისად გახდიან. პორტ-არტურის იაპონელთა არმიამ გუშინ აიღო ტალუძიატუნი. ოფიციალიურად იუწყებიან, რომ იაპონელებმა აიღეს რუსების ყველა მოწინავე პოზიცია იაპონელთა მარჯვენ ფრთის პირდაპირ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

12 დეკემბერი

ვლადივოსტოკიდან გაგზავნილ დეპეშის გაგრძელება. გადააგდეს ბოთლები შემდეგის პროკლამაციით: „ჩვენ თავის დღეში ხელს არ შევუშლით იმათ, ვინც იაპონიის იმპერატორს დაემორჩილება, ამიტომ შიში არავის არ უნდა ჰქონდეს. თქვენ სახლებში დაბრუნდით". თუმც მტრები ბევრნი იყვნენ, კამჩატკის ჯარის უფროსმა ვეკენტიევმა გადასწყვიტა მტერს შებრძოლებოდა და გაგზავნა რაზმები ბოლშერეცკს იქ მყოფ უნტერ-აფიცერის სოტნიკოვის რაზმის საშველად, თუმც სტანოვოი მთაგრეხილზე გზა მეტად ძნელი გასავლელია. 20 ივნისს სოტნიკოვთან შეგროვდნენ 100-ზე მეტი თავის ნებით სამსახურში გასული და იავინოსკენ წავიდნენ. 26 ივნისს პეტროპავლოვსკიდან გაგზავნილ იქნა იალქნიანი პატარა გემი პრაპორშჩიკის ჟაბოს უფროსობით, სურსათითა და 23 ჯარის კაცით. გემზე იყო იაგორ ევსილოვსკი, რომელიც ამას წინად სატუსაღოში იჯდა თავისის მეზობლის მოკვლისათვის. ეს დანაშაული ევსილოვსკიმ ეჭვიანობის გამო ჩაიდინა. ევსილოვსკიმ დიდად შეუწყო ხელი ამ სამხედრო საქმეს. სოტნიკოვი მთებში გაჩერდა და გაგზავნა ევსილოვსკი ადგილების დასაზვერად. ევსილოვსკიმ დამორჩილებულად აჩვენა თავი იაპონელებს, შევიდა იმათ ბანაკში, ყველაფერი შეიტყო და დაათვალიერა. 15 ივლისს იგი სეჩიგუძიმ გაგზავნა, რათა იაპონელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის შუამავლობა გაეწია. იავინიდან ევსილოვსკი აზიორნოს წავიდა, სადაც იაპონელთა უმთავრესი ჯარი იდგა ყველასაგან შეუმჩნევლად, შეიტყო რაც უნდოდა და მოუტანა სოტნიკოვს ცნობები იაპონელთა ჯარისა და მათგან დაჭერილ ადგილების შესახებ. 17 ივლისს სოტნიკოვმა იერიში მიიტანა იავინოზე. სეჩიგუძი და იაპონელი ექიმი ტყვედ წაიყვანეს. უეცარ თავდასხმის გამო გარნიზონმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწია. 17 კაცი მოუკლეს და ოზიორასაკენ დაიწია; თან ბევრი დაჭრილი წაიღო. რუსებს მოუკლეს ერთი და დაუჭრეს ოთხი. სოტნიკოვი ვერ გამოედევნა იაპონელებს, რადგან რაზმი მეტად მოქანცული იყო და სურსათიც არ ჰქონდა. სალდათები ისე მოქანცული იყვნენ, რომ სიარულიც არ შეეძლოთ; ერთ კვირაზე მეტი იყო, რაც ჩაი არ დაულევიათ. როცა მდინარე ოპალოს ფონს გადიოდნენ, წყალი ყელს ზემოდ სწვდებოდათ. როცა იაპონელები უკუაქცია, სოტნიკოვმა ჩამოჰგლიჯა სამლოცველოდან დროშა და მაზრის უფროსთან გაგზავნა ცნობილ ფიცართან ერთად. შემდეგი ცნობები ჯერ-ჯერობით არ მოსულა.

ბერლინი, 12 დეკემბერი. ყველა ადგილები კუნძულ კილუნგსა და ფორმოზას შუა სამხედრო წეს-რიგზე დააყენეს. საგერ სიმაგრეებს აშენებენ იმ შემთხვევისათვის, თუ ბალტიის ესკადრა გამოჩნდა.

ხუანშანი, 12 დეკემბერი. 9 დეკემბერს ჩვენმა მოხალისეებმა უკუაქციეს იაპონელები სოფელ ვოიტხოშანიდან და დასწვეს 10 სახლი, შემდეგ, მტრისაგან შევიწროებულებმა, უკან დაიწიეს. სროლის დროს დაიჭრა პოდპორუჩიკი მეკეტი და ერთი სალდათი. 11 დეკემბერს ხუანშანის მარჯვნით თითქმის მთელი დღის განმავლობაში საღამოს 11 საათამდის საარტილერიო ბრძოლა იყო. გუშინ მოიყვანეს დატყვევებული იაპონელები. ისინი დაჩაგრულებს არ გვანან, ბეწვის საყელოებიანი მაუდის ხალათები აცვიათ, თავი ხელსახოცებითა აქვთ შეკრული და ზედ ქუდები ახურავთ. 13 გრადუსამდე ყინვაა.

ჩანსიამუტუნი, 11 დეკემბერი. დღეს მთავარ-სარდალმა და სასანიტარო კომისიამ დაათვალიერეს ასაკიდ საკაცის ნიმუშები. ორ ჯორს ნელად მიაქვს ჩვეულებრივი გძელი საკაცე ერთი დაჭრილისათვის. საკაცე ბრეზენტითაა გადახურული, ფანჯარა აქვს და იმისი გათბობაც შეიძლება. საკაცეები კარგია, ბამბუკის ხელნეებიც კარგი აქვს და მთის ბილიკებზედაც გამოდგება. რადგან ამგვარ საკაცეებით დაჭრილთა გადატანა ადვილია, ტრეპოვს განზრახვა აქვს ყველა სამხედრო ტრანსლიატორი ასაკიდ საკაცეებად გადააკეთოს. გასინჯეს ასაკიდი სამხედრო სამზარეულოები და თბილი ფეხსაცმელის მაგიერ სახმარი დიდი გალოშები ხარის ნედლი ტყავისაგინაა შეკერილი. გალოშებს ბეწვი შიგნითა აქვს და ჩექმებზე იცვამენ.

პეტერბურგი, 12 დეკემბერი. რუსეთის საელჩოს და ფინანსთა სამინისტროს აგენტს პარიზში ბევრნი აძლევენ წინადადებას, მიაწვდით საინტენდანტოს ყველაფერს, რაც-კი ჯარისთვის არის საჭირო. ამის გამო ჩვენ დავალებული გვაქვს განვაცხადოთ, რომ საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოებში საინტენდანტო უწყებას არაფერი უყიდნია და არც შეუკვეთნია და არცა ფიქრობს ყიდვას, რადგან რუსის ქარხნები და ფაბრიკები, აგრეთვე შინა მრეწველნი საკმაოდ ამზადებენ იმას, რაც ჯარისთვის არის საჭირო.

სახეტუნი, 12 დეკემბერი. დღეს, ჯარის მთავარ-სარდლისა და მეორე არმიის უფროსის თანადასწრებით მოხდა ლიუბლინის პოლკის პარადი საპოლკო დღესასწაულის გამო და აგრეთვე გიორგის ჯვრების დასარიგებლად. მთავარ-სარდალმა შემდეგი დარიგება მისცა ჯარს: ნებას ნუ მისცემთ სულ მცირე ნაწილსაც-კი, რომ უკან დაიხიოს; დაუყოვნებლივ მეზობლები მიაშველეთ და საქმე ბოლომდე მიიყვანეთო. ჯარი აღტაცებით მიეგება სარდალს.

ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ტოკიოდან დეპეშითატყობინებენ ლონდონურ გაზეთებს, ტოკიოს სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ გენ. კუროპატკინი ჯერ კიდევ აპირობს პორტ-არტურის დასახსნელად გალაშქრებასაო. გაყინული მდინარე წყლები და გზები გენ. კუროპატკინს გალაშქრებას გაუადვილებენ. იაპონელებს თითონაც ჰსურთ, რომ გენ. კუროპატკინმა სამხრეთისაკენ გაილაშქროსო. („ნ. დ.").

„ნოიე ფრაიე პრესე" იუწყება: გენ. კუროპატკინმა შეატყობინა პეტერბურგში, თებერვალზე ადრე იაპონელებზე იერიშს ვერ მივიტან, რადგან მხოლოდ იმ დროსათვის დასრულდება სამსავე არმიის ორგანიზაციაო. („ნ.").

ვარშავის სამხედრო საინჟინერო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თავადი თუმანიშვილი მანჯურიის პირველ არმიის ინჟენრების ინსპექტორად დაინიშნა. („რ. ლ.").

„რუს"-ს ატყობინებენ ბერლინიდან: გამოაცხადეს ცნობა, რომ გერმანელ მეგემეთა „ჰამბურგ ამერიკის საზოგადოებამ" რუსეთ-იაპონიის ომის დროს დიდი ფული მოიგოო. საზოგადოებას რუსეთისათვის 4 გემი მიუყიდნია და 4 მილიონი მარკა მოუგია. ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფინანსისტთა წრეებზე. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მეგემეთა საზოგადოებას „ჩრდილოეთ გერმანიის ლოიდ"-საც უნახავს ხეირი: ამ საზოგადოებას, სხვათა შორის, რუსეთისათვის გემი „მარია-ტერეზია" მიუყიდნია და იაპონელებისათვის სანაპირო გემების პატარა ფლოტილია. „ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოებას" რუსეთისათვის დიდ-ძალი ქვა-ნახშირიც მიუყიდნია და დიდი ფულიც მოუგია ამ საქმეში. ინგლისის მთავრობამ ეხლოხან ისეთი განკარგულება მოახდინა, რომ ეს საზოგადოება ინგლისში ქვა-ნახშირს ვე-

დარ იყიდის რუსეთისათვის. ამნაირად კარდიფში ეხლა მხოლოდ ინგლისის გემები-ღა დაუდებენ ქვა-ნახშირს იაპონელებისათვის.

საფრანგეთის მრეწველები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ რუსეთი სამხედრო ნივთებს გერმანელებს უკვეთავს და არა ფრანგებსაო. („ნ. დ.“).

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ ბრიუსელიდან: რუსეთის ახალ სესხის გამოსაცემად შედგენილმა სინდიკატმა დაადგინა: ახალი სესხი გერმანიასა, საფრანგეთსა, ბელგიასა და ჰოლანდიაში გამოიცემა ერთსა და იმავე დროს. 400 მილიონ მარკის ოთხნახევარ პროცენტიან სახაზინო ბილეთებს გერმანელ ხელის-მომწერთათვის დასტოვებენ, 800 მილიონ მარკის 5 პროცენტიან ბილეთები საფრანგეთისა, ბელგიისა და ჰოლანდიის ხელის-მომწერთავის დარჩება. ეს ქაღალდები 8 წლის შემდეგ უნდა შეისყიდოს რუსეთმა. („ნ. დ.“).

ერთს მაღალ-წარჩინებულ ინგლისელ დიპლომატს უთქვამს „ნოიე ფრაიე პრესე“-ს კორესპონდენტისათვის: რა წამს გამოირკვევა, რომ მეომარი სახელმწიფოები შუამდგომლობას დასთანხმდებიან, რამდენიმე ნეიტრალური სახელმწიფო მაშინვე შუამდგომლობას გაუწევს რუსეთსა და იაპონიასაო. შუამავალი სახელმწიფოები არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ ოფიციოზურ გაზეთების ცნობას, ვითომ არც ერთი მეომარი სახელმწიფო არავის შუამავლობას არ დასთანხმდებაო. ოფიციოზური გაზეთები რუსეთისა და იაპონიის საზოგადოებრივ აზრზე მოქმედებენ, მაგრამ საქმეს არსებითად მაინც ვერ შესცვლიან. შუამავლებმა ეხლავე დაწვრილებითი ოქმები შეადგინეს, თუ ვის ხელში უნდა იყოს მომავალში მანჯურია, მანჯურიის რკინის გზა, დალნი და პორტ-არტურიო. („ბ. ვ.“).

პორტ-არტური. როგორც უკანასკნელ დეპეშებიდანა სჩანს, იაპონელებს პორტ-არტურის დასავლეთ მხარეს (გენ. ნოგის არმიის მარჯვენა ფრთა დასავლეთ მხარეს მოქმედებს) ყველა წინა სიმაგრე და ფორტი აუღიათ.

„დეილი მეილ“-ი იუწყება, გენ. სტესელს მთავარი სადგომი პეიშუნზე („პერეპელინაია გორა“) აქვს გამართულიო. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი შეჰნიშნავს, აქედან სჩანს, რომ გენ. სტესელი ციხის აღმოსავლეთ ნაწილის დაცვას მიაქცევს უმთავრესს ყურადღებას, რადგან პორტ-არტურის ბურჯი და იმედი ეს ნაწილიაო.

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს: გენ. ნოგის არმიის მოქმედებას ყველაზე მეტად თეთრის მგლის გორაზე დადგმული რუსის ბატარეები უშლიან ხელსაო.

„ეკო დე პარი“ სწერს: 203 მეტრიან გორის აღების შემდეგ იაპონელები სუნშუშანისა და ანცეშანის ფორტების აღებას სცდილობენ. ეს ორი ფორტი რკინის გზის დასავლეთით მდებარეობს და ციხის ჩრდილოეთ ფორტებს იცავს. თეთრის მგლის გორიდან რუსები, ალბად, ამ ორის ფორტის აღებას უშლიან იაპონელებს. ამავე დროს თითონ სუნშუშანისა და ანცეშანის ფორტებიც უსაქმოდ არ გაჩერდებიან, რასაკვირველია. ამ დეპეშიდან სჩანს, რომ ის ცნობა, ვითომ გენ. სტესელის ჯარი ლიაოტეშანში გადავიდაო, ტყუილი ყოფილა. მართლდება ის ცნობა, რომ ფორტებზე ზარბაზანს რუსის მეზღვაურები ისვრიან, ხმელეთის ჯარს კი იაპონელებზე იერიში მიაქვსო. („ბ. ვ.“).

მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: ჩინელები ამბობენ, იაპონელებს დალნიში მოძრავი ყუთები გადმოაქვთო; ეს ყუთები მტრის მოგერებისა, თუ შტურმის მისატანად ორივესათვის კარგად გამოდგებიანო. ყუთებში სალდათები ჩასხდებიან და ყუმბარა და იქმნება შრაპნელიც ვერას დააკლებსო. ეს ყუთები პორტ-არტურის ჩრდილოეთ ფრონტთან მოქმედების დროს გამოსცადეს და პოზიციებზე იანვარზე ადრე ვერ დასდგამენო.

პორტ-არტურის ესკადრის ბედი. „დეილი ქრონიკლ“-ი იაპონურ ოფიციალურ მოხსენებისა და კერძო კორესპონდენციების თანახმად ასწერს პორტ-არტურის ესკადრის დაღუპვის ისტორიას. გაზეთი სწერს: იაპონელები რამდენისამე თვის წინად შეუდგნენ რუსის ესკადრის განადგურებას. 28 ივლისს ბრძოლის შემდეგ რუსის ესკადრა პორტ-არტურს დაბრუნდა. „რეტვიზანი“ და „პობედა„ ყველაზე ძლიერ იყვნენ დაზიანებულნი, მაგრამ ნავთ-სადგურში დაბრუნების შემდეგ რუსის გემებს ზარალი არ მოსდიოდათ მტრის ყუმბარებისაგან. 4 სექტემბერს სამხედრო საბჭომ, გენ. სტესელისა და ფოკის მონაწილეობით კრეისერ „ბაიან“-ის უფროსი კაპიტანი ვირენი ფლოტის უფროსად დანიშნა. 5 სექტემბერს ახალმა უფროსმა ესკადრის გაყვანა სცადა ნავთ-სადგურიდან, მაგრამ შენიშნა, რომ გარე რეიდზე ნაღმები ეყარა, გემების გასვლა საშიშო იყო და მაშინვე უკან დაბრუნდა. შემდეგ კვირას ვირენმა კარგად გაწმინდა ნავთ-სადგურის გასავალი, ნაღმები სულ ამოაღებინა. 28 სექტემბერს იაპონელებმა დიდი საზღვაო ზარბაზანი დასდგეს მარჯვენა პოზიციებზე. კაპიტან კორუას მმართველობით ეს ზარბაზნები მთელ ერთ დღეს უშენდნენ ყუმბარას რუსის გემებს. 29 სექტემბერს იაპონელებს აღარ უსროლიათ ზარბაზანი. ადმ. ვირენმა რუსის მეზღვაურებს ქვიშით გატენილი ტომრები დააწყობინა ჯავშნიან გემების პალუბებზე და იმავე დროს რეიდსა სწმენდდა და ნაღმებს აღებინებდა. იმავე დღისით საღამოთი ადმ. ვირენმა ყველა გემი დაიარა, მეზღვაურები შეკრიბა და გამოუცხადა, რადგან ნავთ-სადგურის გასავალი ჯერ გაწმენდილი არაა, გასვლა შეუძლებელია, გემები დაგვეღუპებაო, ჯერ ნავთ-სადგურში უნდა დავრჩეთო. მეორე დღეს, 17 სექტემბერს კაპიტანმა კორუიმ ხელ-ახლად საშინლად დაუშინა ზარბაზანი ფლოტსა. „პერესვეტ“-სა და „პობედა“-ს რამდენჯერმე მოჰხვდა ყუმბარა. საადმირალო გემი „სევასტოპოლი“—მარტო ამ გემს არა სჭირდებოდა შეკეთება—ისეთ ადგილას გადაიყვანეს, სადაც ყუმბარა არ უწევდა. ვირენმა თავისი ბაირაღი „პერესვეტ“-ზე გადაიტანა; ყველაზე მეტად ამ გემს უშენდნენ ზარბაზანს. 19 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, „პერესვეტ“-ს დიდი ყუმბარა მოჰხვდა და დიდ კოშკს დაეცა. რუსის ხმელეთის ჯარი არა ერთხელ დაეცა იაპონელების ბატარეებს. უნდოდა სროლაზე ხელი აეღებინებინა და მართლაც იაპონიის ბატარეებმა 20 სექტემბერს საღამოთი სროლას თავი გაანებეს. 21 სექტემბერს ხელ-ახლად დაიწყეს სროლა. იაპონელები ბეჯითად უშენდნენ ზარბაზანს „პერესვეტ“-ს. „პოლტავა“-სა და „პობედა“-საც მოჰხვდა ყუმბარა. 23 სექტემბერს ამ ორ გემს ორი დიდი ყუმბარა მოჰხვდათ და მოძრაობა აღარ შეეძლოთ. სავაჭრო გემები ისეთ ადგილას დააყენეს, რომ სამხედრო გემები დაეფარათ,. მაგრამ იაპონელებმა სავაჭრო გემები ჩაძირეს. ჯავშნიანი გემები რუსებმა ბუქსირით შიდა ნავთ-სადგურში წაიყვანეს, „რეტვიზან“-ის მეზღვაურები ხმელეთზე გადაიყვანეს. 29 სექტემბერს ვირენი 9 კონტრ-ნაღმიან გემით გავიდა და იაპონელების კონტრ-ნაღმიან გემებს დაეცა. ვერც ერთმა მხარემ ვერ აჯობა და რუსები უკან დაბრუნდნენ. 1 ოქტომბრიდან 22-მდე იაპონელები ზარბაზნის სროლას განაგრძობდნენ. ვირენი მხნედ იცავდა თავის გემებს ყუმბარისაგან და მუდამ საშიშ ადგილებში დგებოდა. 17 ნოემბერს იაპონელებმა 203 მეტრიანი გორა აიღეს და რუსის გემების გადარჩენა აღარავის შეეძლო.... („პ. ვ.“).

კაპიტანი კლადო. „ტაიმს“-ი სწერს: კაპიტანმა კლადომ ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ინციდენტი თავის თვალით ნახა, ამიტომ იმის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რუსეთის საზღვაო სამინისტროს გამოცემულ ბძანებიდან სჩანს, რომ კაპიტანი კლადო ორი კვირით ყოფილა დაპატიმრებული „ფაქტების დამახინჯებისათვის“, ასე რომ თითონ კლადოს საკუთარმა უფროსებმა საეჭვოდ გახადეს იმისი ჩვენებაო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი სწერს: კაპიტან კლადოს ჩვენებას საერთაშორისო კომისიის წინაშე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ რუსეთის საზღვაო სამინისტროს ბძანებამ სიცრუე დასწამა ამ აფიცერს, ლაქა მოსცხო იმის სახელს და შეიძლება იმის ჩვენებას ფასი დაუკარგოს. („ნ. ვ.“).

დიდ ოკეანის მეორე ესკადრა. „ნოიე ფრაიე პრესე“ სწერს: რუსეთის ინტერესი მოითხოვს, რომ დიდ ოკეანის მეორე ესკადრამ, რაც შეიძლება, საიდუმლოდ იაროს და იაპონელებმა რიგზე ვერ გაიგონ, სად დაეცემათ ეს ესკადრა. მაგრამ ამ საიდუმლოების დამალვა გაძნელდება, რასაკვირველია. შეიძლება, ნეიტრალურ სახელმწიფოებს სთხოვონ და ესკადრის მოსვლის ამბავი არ გამოაცხადებინონ, შეიძლება, ესკადრის თაობაზე კერძო დეპეშებიც არ გააგზავნინონ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ დრომდე მოხერხდება, სანამ ესკადრა ინგლისის ზღვებში არ შევა. ინგლისი-კი არავის დაუშლის რუსეთის ესკადრის ამბის გამოცხადებას და რამწამს ესკადრა კეთილ იმედის კონცხთან გაჩნდება, მთელი ქვეყნიერობა შეიტყობს ამ ამბავს (აკი ასეც მოხდა). კეთილ იმედის კონცხს რაკი გაივლის, ესკადრა ისევ გაქრება. კუნძულ მადაგასკარამდე საკმაოდ უდაბური გზაა და იქნება ესკადრა სავაჭრო გემებსაც ასცდეს. იქნება, რომ საფრანგეთმაც ღონის-ძიება მიიღოს და ესკადრის მოსვლის ამბავი კუნძულთან არავის გააგებინოს, მაგრამ უეჭველია, იაპონელები ყველა ნავთ-სადგურს უგდებენ ყურსა; შესაძლებელია, მადაგასკართან იაპონიის მოდარაჯე კრეისერებიც იდგნენ და რუსის ესკადრის ამბავი ხელად ტოკიოში შეატყობინონ, შესაძლებელია, იაპონელები ესკადრას ინდოეთის ოკეანეშიაც შეებრძოლნენ. ერთის სიტყვით, ადმ. როჟესტვენსკის მეტად დიდი, ძნელი და სახიფათო საქმე ჰხვდა წილად („ნ. დ.“).

„ტაიმს“-ი იუწყება: რამდენიმე ხანია, რაც რუსეთი დიდ-ძალ გემსა ჰქირაობს ქვანახშირის წასაღებად დიეგო-სუარეცში კუნძულ მადაგასკარის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაპირად. გაზეთი შეჰნიშნავს, ეს ცნობა ძალა-უნებურად გვაფიქრებინებს, რომ რუსის ესკადრის (ადმ. როჟესტვენსკის) რაზმები სწორედ დიეგო-სუარეცში შეუერთდებიან ერთმანეთსაო. („რ.“).

მესამე ესკადრის გაგზავნა. პორტ-არტურის ესკადრის განადგურების შემდეგ რუსეთში ყველა დარწმუნდა, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ვერას გახდება იაპონიის ფლოტთან და გაზეთებმა ბეჯითად მოითხოვეს, ადმ. როჟესტვენსკის მესამე ესკადრაც უნდა მივაშველოთო. გაზ. „ნოვოსტი“ სწერს: „თუ რუსეთი გაჰგზავნის ახალ ესკადრას, იაპონიაც გააძლიერებს თავის ფლოტს და ამნაირად დაუსრულებელი გახდება ზღვაში ბრძოლა. არა სჯობია ეხლავე გამოვტყდეთ, რომ ზღვაში იაპონელების დაძლევა არ შეგვიძლიან? ზოგიერთი ოცნებობს, რუსეთი ორიოდე თვეში დიდ საზღვაო სახელმწიფოდ უნდა გადავაქციოთო; ეს დიდი შეცდომაა. იაპონია კუნძულებზე მდებარეობს და ნამდვილი საზღვაო სახელმწიფოა, რუსეთი-კი ხმელეთის სახელმწიფოა და ხმელეთზე უნდა გამოიჩინოს ძალა. იაპონია ზღვაში ისეა, როგორც თავის საკუთარ სახლში. და რუსეთზე ძლიერიცაა. ათ და ას მილიონობით რისთვის უნდა ჩავყაროთ წყალში? განა ას წილად არ ემჯობინება ახალ ესკადრებისათვის დანიშნული ფული ციმბირის მეორე რკინის გზის გაყვანასა და მანჯურიაში ახალ არმიის გადაყვანას მოვანდომოთ? ვიმეორებთ, რუსეთმა მანჯურიის არმია, რაც შეიძლება, მეტად უნდა გააძლიეროს და გაბედული, მედგარი იერიში მიიტანოს იაპონიის არმიაზე. ეს უფრო მალეც მოხერხდება და ადვილი ასასრულებელიცაა, ვიდრე მესამე ესკადრის გაგზავნა“.

რუსეთი ახალ ფლოტს აშენებს. გაზ. „მატენ“-ი იუწყება: ადმ. დუბასოვმა რუსეთის ფლოტის სრულ რეორგანიზაციის პროექტი წარუდგინა მთავრობას; რუსეთის უმაღლესმა წრეებმა მოიწონეს ეს პროექტი. ადმ. დუბასოვის პროექტით, ახალ ჯავშნიანი გემები, კრეისერები, ნაღმიანი გემები და წყალ-ქვეშ მოსიარულე ნავები უნდა აშენდეს იმ ანგარიშით, რომ რუსეთს ისეთი ფლოტი ჰყავდეს, როგორიც ჯერ არას დროს არა ჰყოლია. ამ პროექტის ასრულება 400 მილიონ მანეთამდე დაჯდება. ამბობენ, ახალ ფლოტის აშენებას სულ მოკლე ხანში შეუდგებიან უცხოეთის ვერფებსა და ქარხნებშიო. („ს.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება: ადმირალმა ალექსეევმა (ნამესტნიკმა) რუსეთის ფლოტის რეორგანიზაციის პლანი წარუდგინა მთავრობასაო. („რ. ს.“).

ახალი ამბავი

✦ როგორც ამას წინად აღვნიშნეთ, ის დადგენილებანი, რომელიც ამიერ-იმერეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურეებმა შეიმუშავეს ტფილისში მომხდარ კრებაზე **სამრევლო სკოლებში ახალ პროგრამის** შემოღების შესახებ, ექსარხოსმა უწმ. სინოდს წარუდგინა დასამტკიცებლად. ამ ჟამად ამ საქმის გადასაწყვეტად უწმ. სინოდმა გაიწვია პეტერბურგს სამრევლო საეკლესიო სკოლების ოლქის მეთვალყურე ვოსტორგოვი, რომელიც უკვე წასულა.

✦ რადგან რუსეთის ზოგიერთი რკინის გზები სულ **ჯარისა და სურსათის გაზიდვას** უნდებიან და მაინც ვერ ასდიან საქმეს, ზოგ ადგილებში საქონლის მიღება შეჩერებულია.

✦ შორაპნიდან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ **დიდი თოვლი მოსულა**. საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში თურმე თოვლ-ჭყაპი და ცუდი ამინდებია. ნამუშავრის სიძვირე ეხლავე დაუწყია. ძვირობს წვრილ-ფეხი საქონელი და კვერცხიც.

✦ 12 დეკემბერს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა კრება ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებისა**. კრებას უმთავრესად დაესწრნენ ტფილისის გარეშე მცხოვრები წევრები. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, დაარსებიდან საზოგადოებას 40,000 მანეთის ზარალი მოსვლია უმთავრესად მატარებლებში გამართულ დუქნებისა და აგრეთვე ლიანდაგზე მოწყობილ განყოფილებათაგან. საზოგადოების გამგეობას რამდენჯერმე აღუძრავს კიდეც შუამდგომლობა რკინის გზის უფროსის წინაშე, რომ განყოფილებათა დახურვის ნება დაერთო. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, გააუქმოს ყველა განყოფილება 1905 წლის 1 იანვრიდან. დაიკეტება აგრეთვე მატარებლებში გამართული დუქნები. რადგან საზოგადოებას არ შეუძლიან ზემოდ აღნიშნულ 40,000 მან. ზარალის გასტუმრება, კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ შემწეობა აღმოეჩინოს ზარალის ერთი ნაწილის დასაფარავად მაინც. სალიანდაგო დუქნებზე ეხლა

ფელეტონი

ომი

გამოჩენილ კაცთა აზრით*).

ომი ანტიკულტურული მოვლენაა: კულტურა სცდილობს ადამიანს შეუმციროს ტანჯვა-წვალება, დაამყაროს კაცთა შორის ძმობა, ერთობა, მოსპოს განხეთქილება, ომს სულ წინააღმდეგი შედეგი მოსდევს: იგი დაკანონებული ხოცვა-ჟლეტაა, რომლის დროსაც მეომრებს არა აქვთ კარგად შეგნებული რისთვის ჰკლავენ ერთმანეთს. ომის დროს სალდათები ისეთს მხეცობამდისაც მიდიან, რომ ერთმანეთს კბილებით ყელს უღადრავენ და თვალებს უბნელებენ. ოპტიმისტმა რომ ბრძოლის ველი დაათვალიეროს, ნახოს ტყვიით, შტიკებით, ყუმბარებით დასახიჩრებულ მეომრის გვამები, დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა, ტანჯვა და წვალება, არა მგონია იმ აზრისა დარჩეს, რომ ყველაფერი კარგადაა მოწყობილი ამ ქვეყანაზედაო. მშვიდობიანობის დროს მოსამართლენი ერთის ნემსის მოპარვისათვისაც კი სჯიან „დამნაშავეებს“. ომიანობის დროს კი ერთს სალდათს შეუძლიან რამდენიმეს მოუსპოს სიცოცხლე, და ეს არა თუ დანაშაულობად არ ეთვლება, პირიქით, ასეთის ერთგულებისათვის საჩუქარსაც აძლევენ, ასაჩუქრებენ შეუბრალებლობისათვის, კაცის კვლისათვის.

ომი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ იშვიათად ნახავთ ისეთს კაცს, რომ მას გულგრილად უცქეროდეს: ზოგი აქებს, ზოგი კი ზიზღით უყურებს. ომის მოტრფიალენი ომს ნორმალურ მოვლენად სთვლიან, რადგან იგი, მათის აზრით, წარმოადგენს არსებობისათვის ბრძოლის ერთს ფორმას და, როგორც ყოველი ბრძოლა, ანვითარებს ადამიანს, ავარჯიშებს მასში კეთილშობილებას, პატიოსნებას და სამშობლოსადმი სიყვარულს. გენერალი დრაგომიროვი კი ამბობს: „ბუნებაში ყველაფერი ბრძოლაზე არის დაფუძნებული და კაცი ხომ ვერ გადაუხვევს ბუნების კანონს. ომი წინააღმდეგია ადამიანის ბუნების ერთის მხრისა, ადამიანის თავის დაცვის ინსტიქტისა, მაგრამ სრულიად არ არის წინააღმდეგი ადამიანის მთელის ბუნებისა, მით უმეტეს გონებისა“... „ომი შეწყდება, როცა არც მატერიალურს, არც სულიერს ცხოვრებაში არაფერი ახალი არ იქნება, ე. ი. როცა კაცობრიობას გამოელევა სულიერი შინაარსი“. თურმე, ნუ იტყვით, ხსენებულ გენერლის აზრით, ომი, ადამიანის მიერ თავისს მსგავსთა ხოცვა-ჟლეტა, შეადგენს შინაარსს ხალხის ნორმალურ ცხოვრებისას, და მერე როგორს? სულიერს შინაარსს. ამავე აზრის იყო გერმანელთა გამოჩენილი სარდალი მოლტკე. ის ამბობს: ომი აუცილებელი ნაწილია ღვთისაგან დადგენილ წესწყობილებისა. ომი წმიდაა. იგი ღვთისაგან დაწესებულია და ამიტომ საყოველთაო კანონია“.

ეგრედ წოდებულ „ბოროტებისადმი მორჩილების“ მოძღვრების მიმდევარნი ქადაგებენ, რომ რაც უნდა შეგხვდეს ცხოვრებაში, ყველაფერს მორჩილებით უნდა ითმინდეო. ეპისკოპოზი ავგუსტინი სწერდა: „მცნებას: არა კაც ჰკლა, სრულიადაც არ არღვევენ ისინი, რომელნიც ომობენ ღვთის მონდობილობით ან იმის კანონების თანახმად საზოგადოების წარმომადგენელნი სიკვდილით სჯიან ბოროტ-მოქმედთაო“. იგივე სულიერი მამა ქადაგებდა, რომ ღვთიური განგება ომით ასწორებს და ანვითარებს ადამიანთა ზნე-ხასიათს, წმიდასა და მართალს ცხოვრების მომაკვდავთა განამტკიცებს დამარცხებებით, განსაცდელის შემდეგ ან უკეთესს ცხოვრებაში გადაასახლებს, ან ქვეყნად ანარჩუნებს სხვების წასაქეზებლადაო..

ბევრი დიდებული მწერალი და ფილოსოფოსიც ომის მომხრეა; ესენი ომში ჰხედავენ საზოგადოების გამოფხიზლების საშუალებას და პროგრესის უმთავრესს იარაღს. აი, მაგალითად, დოსტოევსკი, რუსეთის მწერალთა შორის ყველაზე უფრო თაყვანის მცემელი ქრისტეს მოძღვრებისა, რას ამბობს: „ომი მცირედის სისხლის დაღვრით, მცირედის მწუხარებითა და ძალის დახარჯვით ამყარებს საერთაშორისო მშვიდობიანობას და ერთა შორის ნორმალურს დამოკიდებულებას... ხანგრძლივი მშვიდობიანობა ჰბადებს ბოროტებას, მშიშრობას და მოუხეშავ ეგოიზმს, უმეტესად-კი გონებრივს განუვითარებლობას“.

ჰეგელი ამბობს: „ომი საჭიროა გონებრივ განვითარებისათვის; იგი ამაღლებს ადამიანს, ომის დროს ადამიანი უფრო მკაფიოდ ჰხატავს თავისს ვაჟკაცობას, განამტკიცებს სახელმწიფოებსა და მეფეების გვარეულობას, გამარჯვება არგუნებს უფრო ღირსს, საზოგადოებაში ყველაფერს აამოძრავებს, გააცხოველებს“.

ბაირონის სიტყვები: „მე დიდის სიამოვნებით უარვყოფდი ომს, თუ არ ვიცოდე, რომ მარტო ის იხსნის ქვეყანას სიდამპლისა და დახავსებისაგან“.

პრუდონი სწერს: „სამწუხარო ის-კი არ არის, რომ სისხლი იღვრება, საქმე ის არის, რისთვის იღვრება. ჩვენ დროში ომი გაყვლეფისათვის იბადება“.

ყველა ამ დიდებულ კაცთა აზრით, ომი რომ არ ყოფილიყო, საზოგადოება ვერასოდეს ვერ გამოფხიზლდებოდა, იგი დახავსდებოდა, გავრცელდებოდა „მშიშრობა, ბოროტება, გონებრივი უვიცობა“...

ომის მოწინააღმდეგენი იმას არათუ პროგრესის იარაღად არა სთვლიან, პირიქით, ამბობენ პროგრესის მსვლელობას აბრკოლებსო. აი, რას სწერს სპენსერი: „უმაღლესი საზოგადოებრივი გრძნობები მხოლოდ მაშინ მიაღწევენ განვითარების მწვერვალს, როცა არსებობისათვის ბრძოლა ომით არ გამოიხატება... შეერთება ადამიანებისა დიდრონ ჯგუფებად და ზრდა ცივილიზაციისა შესაძლოა იმდენად, რამდენადაც ჰკარგავს თავისს ძალას პრინციპი, რომელიც მოითხოვს ერთის კაცის მოკვლისათვის მეორის და ბევრის გაჟლეტას. ცივილიზაციის დაბალ საფეხურებიდან მაღალ საფეხურებამდის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როცა ადამიანები მოსპობენ ხალხთა შორის შურის ძიებას, რომელიც ჩვენ მივიღეთ ველურებისაგან მემკვიდრეობად.“ აქედან სჩანს, თუ რამდენად აბრკოლებს ომი კულტურას, როგორ სთესავს იგი განხეთქილებას სხვა-და-სხვა ერთა შორის და გვაშორებს იმ დროს, როცა მთელ კაცობრიობა ერთს საზოგადოებად იქნება გაერთებული.

რუსთა დიდი მწერალი ტოლსტოი ამბობს: „საგანი ომისა—მკვლელობაა, ომის იარაღი—ჯაშუშობა, ღალატი და მისი წაქეზებაა, მცხოვრებთა დარბევა, მათი გაძარცვა, ან ქურდობა ჯარის გამოსაკვებავად, სიცრუე, დატყუილება, რომელთაც ეძახიან სამხედრო თინებს... ომი ადამიანის გონების და ბუნების წინააღმდეგია... შედით იმ ოთახში, სადაც ომში დაკოდილთ ჭრილობებს უხვევენ ან ოპერაციებს უკეთებენ, და თვალ-წინ წარმოგიდგებათ საშინელი, სულის შემძარავი სურათი: ნახავთ ომს იმის ნამდვილს გამოხატულებაში სისხლში, ტანჯვა-წვალებაში, სიკვდილში“.

ჰიუგოს სიტყვები: „სალდათი, გადაქცეული მკვლელად, იდებს დანაშაულობას ერთი მეორეზედ: დილით ჰკლავს, საღამოთი სძარცვავს“. ომი რომ შესწყდებოდეს, „გადავაკეთებდით მთელ დედამიწას, გავიყვანდით არხებს, მთებს ავაფეთქებდით, მთელს ქვეყანას რკინის გზას ქსელით მოვფენდით, სავაჭრო ფლოტს ასჯერ გავადიდებდით, ჭაობებს ამოვაშრობდით, ქალაქებს ავაშენებდით იქ, სადაც ეხლა უდაბნოა. იქ ნავთ-სადგურები გვექნებოდა, სადაც ეხლა მხოლოდ წყლის ტალღებია. სიმდიდრე წყაროვით ჩქეფას დაიწყებდა დედამიწის გულიდან; სიღატაკე გაჰქრებოდა; იცით, რა გაჰქრებოდა სიღატაკესთან ერთად? რევოლუცია... დიდ მკვლელობების დრომ განვლო; ზარბაზნის ლულამ (ე. ი. სალდათმა) ფიქრი დაიწყო და იმას ეხლა აღარ მოსწონს მსხვერპლის როლი“.

ვოლტერს კანონთა კრებული ომიანობის დროის მკვლელობის შესახებ უცნაურ გამოგონებად მიაჩნია. „მე ვიმედოვნებ,—შენიშნავს იგი:—რომ მალე გვიბოძებენ ისეთს კანონებს, რომელთა ძალითაც ნება მოგვეცემა დიდ გზაზე ავაზაკობისა... უმთავრესი უგუნურებაა იმათი, რომელნიც ომში არიან ჩაბმულნი, ის არის, რომ ისინი ჰღვრიან თავიანთ ძმების სისხლს და იკლებენ ჭირნახულიან ველებს იმისთვის, რომ შემდეგ გახდნენ სასაფლაოების ბატონები... რას ვაქნევ ადამიანობას, მოწყალებას,

---

*). „Міръ Божій“ № 11, 1904.

ტარიფი. წინად ამ გადასახადს საზოგადოება არ იხდიდა. რაც ტარიფი შემოიღეს, საზოგადოებას გადაუხდია 9000 მან. კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რომ ეს ფულიც დაუბრუნდეს საზოგადოებას. კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეთა გაუმჯობესების შესახებ. კრებამ, სხვათა შორის, დაავალა გამგეობას, შეადგინოს საზოგადოების მოვალეთა სიები, დაუგზავნოს იმ დაწესებულებებს, სადაც ეს მოვალენი მსახურობენ და სთხოვოს, ვალი მოსამსახურეებს ჯამაგირებში გამოერიცხოთ. ანგარიში დაამტკიცა კრებამ გარდა იმ ნაწილისა, სადაც მოხსენებულია ზარალი და სატარიფო ფული, რომლის უკანვე დაბრუნების იმედი აქვს საზოგადოებას. დასასრულ კრებამ აარჩია გამგეობის წევრნი და სხვა მოსამსახურენი.

◆ 12 დეკემბრისათვის დანიშნული საგანგებო კრება **ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა** არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრობლობისა. გამო. ახალი კრება დაინიშნა 19 დეკემბრისათვის.

◆ რედაქციამ მიიღო მშვენიერი ახალი ქართული წიგნი—**„ზღაპრები** (№ 2), გამოცემა ქართველ ქალთა წრისა. ამ ახალ კრებულში მოთავსებულია ჩვიდმეტი ქართული ხალხური ზღაპარი და ყველა ზღაპარი დასურათებულია მხატვრის ბ-ნ შმერლინგის მიერ. წიგნი ძალიან დიდის ფორმატისაა, სქელ ქაღალდზედ მეტად სუფთად და კარგად არის დაბეჭდილი. საზოგადოდ, „ზღაპრები“ საუცხოვო გამოცემაა და მშვენიერი საჩუქარი იქნება ბავშვებისთვის, განსაკუთრებით ამ დღესასწაულების დროს. სურათებზე არას ვამბობთ, რადგან მკითხველებმა უკვე იციან, ბ-ნი შმერლინგი რა მშვენივრად ჰხატავს ჩვენებურ ტიპებს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აგრეთვე წიგნის სიიაფე. იგი ღირს ექვს აბაზ უზალთუნად. ამოდენა და ასე კარგად გამოცემული რუსული წიგნი შეუძლებელია, რომ სამ მანეთ ნაკლებ გაიყიდოს. ვურჩევთ ყველას, ვისაც-კი ბავშვები ჰყავთ, შეიძინონ ეს წიგნი.

◆ აჯიქაბულის სადგურზე 11 დეკემბერს **ხოლერით ავად გახდა** ექიმის მოსამსახურე ქალი, რომელიც ხოლერიანთა ბარაკში დააწვინეს. კარაბურუნში ავად გახდა რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი, რომელიც ერევანში გაჰგზავნეს. კავკავის რკინის გზაზე იმ დღიდან, რაც ხოლერა გაჩნდა 9 დეკემბრამდე, ავად გამხდარა სულ 24 კაცი. აქედან ცხრა მატარებლებში და 15 სადგურზე.

◆ როგორც სადგურ სანგაჩალადან გვატყობინებენ, 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათსა და 38 წუთზე, **დაეჯახნენ ერთმანეთს ორი საქონლის მატარებელი** (№№ 182 და 183). გაფუჭდა ორივე ორთქლმავალი, დაამსხვრა ორი სავსე და ცხრა ცარიელი ცისტერნის ვაგონი. მიზეზი დაჯახებისა ის იყო, რომ სადგურ დუვანიდან არ შეატყობინეს, მატარებელი № 182 წამოვიდაო. მატარებელი № 183 უკვე უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ მემანქანემ № 182 ყურადღება არ მიაქცია, რომ სემაფორი დაკეტილი იყო და შევიდა სადგურში.

◆ **სომეხთა კათალიკოსი** ამ ჟამად შეუძლოდ არის. გუშინ, 13 დეკემბერს, ექიმებს კონსილიუმი ჰქონდათ. კათალიკოსს მუხლის ქარები აღმოაჩნდა. ამის გამო გამორკვეული არ არის ჯერ, რამდენს ხანს დაჰყოფს კათალიკოსი ტფილისში.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიხაილოვისა, ბაქოსა და განჯის სადგურების მოხელეებს გადაუწყვეტიათ დამოუკიდებლად დააარსონ **მომხმარებელი საზოგადოებანი** იმ წესდებით, რომლითაც მთელი რკინის გზის მომხმარებელი საზოგადოებანი ხელმძღვანელობენ.

◆ სოფ. ზემო-მაჩხაანის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებთა ცხვარს თავს დასცემია რამდენიმე **შეიარაღებული ბოროტ-მომქმედი** და 500 სული საქონელი გაურეკია. ქურდებს დასდევნებიან საბადურის ბინის საერობო დარაჯები და დასწევიან ყაზახის მაზრის სოფ. კაიახტებთან. ატეხილა სროლა, რომლის დროსაც დაჭრილა რამდენიმე სული. საერობო დარაჯებს წაურთმევიათ მხოლოდ 21 ცხენი და 4 ხარი.

◆ 11 დეკემბერს ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ და ქალაქის გამგეობამ დაადგინეს, ის 1300 მან., რომელიც გადადებულია მოსწავლეთა გასართობების მოსაწყობად, მოხმარდეს ერთს **საბავშო წარმოდგენის გამართვას**, რომელზედაც ყველა მოსწავლენი იქნებიან მიწვეულნი. ამავე საკითხის განსახილველად დღეს მიწვეულნი არიან სკოლების ზედამხედველები.

◆ 12 დეკემბერს თელავში გაემგზავრა ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესია** პადალკოს თავმჯდომარეობით. სესია თელავში 19 დეკემბრამდე დაჰყოფს.

◆ **ხორცისა და პურის ნიხრის** დამწესებელმა კომისიამ 11 დეკემბერს დაადგინა, დაავალოს ვაჭრებს შეიძინონ პატარა წიგნაკები და საჩივრების შესანახი ყუთები. თუ ვინიცობაა ვაჭარმა ნიხრს ზევით გაჰყიდა სანოვაგე, მყიდველს შეუძლიან საჩივრის წიგნიდან ერთი ფურცელი ამოიღოს, საქმის ვითარება აღნიშნოს და ყუთში ჩააგდოს. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტები კვირაში ორჯელ დუქნებს ჩამოუვლიან და ამ საჩივრის ფურცლებს კომისიას წარუდგენენ. წიგნების ფორმის შემუშავება კომისიამ დაავალა ა. ს. ღულაძეს. უფროს აგენტს კომისიამ დაავალა, წარუდგინოს სია ხორცისა და პურის ვაჭრებისა.

◆ ნიხრის დამწესებელ კომისიას საჭიროდ უცვნია დაწესდეს **შემდეგი ნიხრი**: 1 ხარისხის გირვანქა ხორცზე 11 კაპ., 2—10 კაპ. და მესამე ხარისხის—7 კაპ. ცხვრის ხორცი—12 კაპ., დუმა—15 კაპ., ღორის ხორცი: უკანა ფეხის ხორცი—15 კაპ., საკატლეტე ნაწილი—12 კაპ., სხვა დანარჩენი ხორცი უტყაოდ—9 კაპ. და ტყავიანად 8 კაპ.

◆ თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ ინიშნება ფშავ-ხევსურეთის საბოქაულოს გამგე ი. ოზიაშვილი, ხოლო უკანასკნელის ნაცვლად ბოქაულად—თარჯიმანი თიანეთის სამაზრო სამართველოსი ყარალაშვილი.

◆ ქარელის მცხოვრებმა თავ. ციციშვილმა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წარუდგინა გიმალაის ორი ჯიშის ქერის ნიმუში. თავ. ციციშვილს ამ სამი წლის წინად გამოფენიდან წაუღია ასი მარცვალი ამ ქერისა და ასი მარცვალიც საზოგადოებისაგან. სამი წლის განმავლობაში თავ. ციციშვილს იმდენი ქერი მოუყვანია, რომ სათესლედ დიდი ყანებისათვის საკმარისად აქვს თურმე. ეს ქერი ბევრად უკეთესია ადგილობრივ ჯიშის ქერზე, რადგანაც მოსავალი უხვი მოდის და ხელიც ნაკლები სჭირდება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 11 დეკემბერს დაადგინა, გალკინის ფირმის ფარნები დადგას სადგურიდან მოყოლებული მიხეილის ქუჩამდე. გოლოვინის პროსპექტსა და სხვაგან დადგმულ ფარნების გადატანის ნება არ მიეცემა ფირმას მანამდე, სანამ სხვა ფირმებიც დაამზადებენ ფარნებს და წარუდგენენ გამგეობას გასამართავად.

◆ რედაქციამ მიიღო სომხურად გამოცემული „პეპო“, კომედია გაბრიელ სუნდუკიანცისა.

◆ თელავის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა დეკემბრის პირველ ნახევარში: 1. თელავში გიორგი აბულაძე და ილა ყაზახაშვილი შევიდნენ მეპურე ანტონ ერაძესთან და რამდენსამე ადგილას დასჭრეს; 2. სოფ. შილდაში მისულა მომრიგებელი შუამავალი, მამასახლისს ერთი კაცის, სახელდობრ ასაკ დინგაშვილის შესაპყრობად გაუგზავნია საერო დარაჯები იკამასოვი და გრიშკევიჩი სხვა გლეხებთან ერთად. როცა ისინი დინგაშვილის სახლს შემოერტყნენ, მეზობლის ბაღიდან გაისმა 6-ჯერ თოფის ხმა და დაიჭრა ნ. ტეტრიაშვილი და ალ. ასლაბიშვილი; 3. სოფ. ტილლაურში მართა გიგაური აშველებდა თავის შვილს ნიკოლოზს, რომელსაც ცული აელო და ძმისთვის უნდა დაეკრა; გაშველების დროს ცული მოხვდა თავში მართას და იქვე გარდაიცვალა; 4. ქვემო ხოდაშენელ გლეხებს, იაკობ და ილია კუკუჯანოვებს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს მეორემ პირველი მძიმედ დასჭრა.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების საელექტრონო სადგურზე უბედურება მოხდა: 18 საჟენის სიმაღლე საკვამლე მილიდან გადმოვარდა ხელოსანი ბატურინი და სული განუტევა. გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

◆ სასახლის ქუჩაზედ მეორე გილდის ვაჭრის ამირალოვის მაღაზიდან 2000 მან. მეტ საქონლის წამღები ქურდები აღმოჩნდნენ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი დათიკო გორგოშაძე, ტარიელ ქეიშვილი და შალვა კობალაძე. დამნაშავენი უკვე დააპატიმრეს. ქურდებს მოპარული საქონლის ერთი ნაწილი აღმოაჩნდათ.

◆ 12 დეკემბერს ვორონცოვის ქუჩაზე სიღნაღის მცხოვრებს ილია ხატიაშვილს გადაუარა ცხენის რკინის გზის ვაგონმა და გაუტეხა კეფა და გადაუჭრა მუცელი. ხატიაშვილი ვაგონს ქვეშიდან მკვდარი გამოიღეს. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

◆ 11 დეკემბერს, 2 საათზე, „ლონდონის“ სასტუმროს გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და ჩააქრეს.

◆ თამამშევის ქარვასლიდან 11 დეკემბერს ვიღაც ქურდებს მოუპარავთ 65 მანეთის ნივთები. ქურდები აღმოჩნენ 12 წლის ბავშვები ნიკოლოზ ოჰანეზოვი, ლეონ მუშეგოვი და არშაკ მამიკონიანცი. ბავშვები გამოტყდნენ და განაცხადეს, მოპარული საქონელი სხვა-და-სხვა მეწვრილმანეებზე გავასაღეთო. ნივთები აღმოაჩინეს.

◆ სოფ. იორო-მულანლოში მოუკლავთ ადგილობრივი მცხოვრები ტალიბ-ბაირამ-ოღლი. ეჭვი მიიტანეს იმის ცოლის ძმაზე.

◆ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ 255 გადასდო აწყურის (ახალციხის მაზრა) სკოლის სასარგებლოდ.

პრესსა

სკოლა და განათლებაა ხალხის კეთილდღეობის მთავარი ღერძი და, როგორც ვიცით, სწორედ ამ მხრივ არის, რომ რუსეთის იმპერია ყველაზედ უფრო ჩამორჩენილია.

> ჩვენ, რუსებსო,—სწერს დოქტორი გორდონი, ხალხის განათლების საქმეში სულ უკანასკნელი ადგილი გვიკავია; წინ გაგვისწრეს ისეთმა პატარა ხალხებმაც-კი, როგორც რუმინები, ბოლგარები და სერბებია, რომელთაც ძლივს შესძლეს ჩვენის დახმარებით დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა. ჩვენთან შედარებით, ესენი ნამდვილი პიგმეები არიან როგორც ვაჭრობა-მრეწველობაში, ისე სახელმწიფო ცხოვრების სივრცე სიგანისა და მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის მხრივ. სახალხო განათლებით-კი ჩვენზე მაღლა დგანან და თავიანთ პატარა ბიუჯეტიდან ამ საქმეზე შედარებით მეტს ხარჯავენ, ვიდრე რუსეთი თავის მილიარდებიან ხარჯთ-აღრიცხვიდან. რამდენად მაღლა დგანან ეს სუსტი სახელმწიფოები ძლიერ ბუმბერაზ რუსეთზე და როგორი დამამცირებელი გრძნობა უნდა იპყრობდეს ყოველ რუსს, როცა იგი თავის ეროვნულ სულიერ სიღატაკეს ხედავს.
>
> უკანასკნელ ექვსის წლის განმავლობაში რუსეთში პირველ დაწყებითი განათლება სრულიად არ წაწეულა წინ: სკოლების რაოდენობას არა თუ არ უმატნია, მოიკლო კიდეც—95 ათასიდან 84 ნახევრამდე ჩამოვიდა, და თუ ამ დროს განმავლობაში იმატა მოსწავლეთა რიცხვმა, ეს აიხსნება მხოლოდ ხალხის გამრავლებით. ამგვარად, ჩვენი სახალხო განათლება, სამინისტროს ოფიციალურ ცნობებითაც-კი, მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს; წინსვლის მაგიერ, იგი უკან-უკან მიდის.

⁂

ხომ ასეთ სამწუხარო მდგომარეობაშია სახალხო განათლება, ხომ ასე ცოტას ხარჯავს სახელმწიფო ამ არსებით საგანზე, კერძო საზოგადოებათა და პირების ინიციატივაც შებორკილია. საილიუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი ფაქტი:

> ქ. მინსკის სემინარიელებმა განიზრახეს პატარა ადგილი დაეჭირათ ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურული საქმე არჩიეს ქურდულ ოხრობა-ლოთობასა და ბანქოს თამაშს: ადგილობრივ გაზეთში გამოაცხადეს, რომ მზად არიან უსასყიდლოდ ასწავლონ მსურველებს. სულ მოკლე ხანში სამასამდე მოსწავლე ჰყავდათ სემინარიელებს.

მადლობის მეტი რა უნდა ეთქვას გულშემატკივარ ახალგაზრდობას: არსებული სკოლები მსურველების მესამედსაც ვერ იტევს, სწავლის მსურველთ კეთილისმყოფლები გაუჩნდათ და ყველა სიხარულით უნდა მიჰგებებოდა სემინარიელების ასეთ უანგარო შრომას, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვას ვხედავთ:

> სემინარიის მთავრობას სულ სხვა შეხედულება აქვს და არა თუ ნება არ მისცეს სემინარიელებს განეგრძოთ თავიანთი მშვენიერი საქმე—საქმის ინიციატორებს ეძებენ გაფაციცებით,

რასაკვირველია, იმიტომ რომ „ღირსეული“ სასჯელი მიაყენონ „ბუნტის“ ხალხს. ცხადი არისო,—ამბობს „ნოვოსტი“ სემინარიის მთავრობის ასეთ მოქმედების გამო, რომ მომავალ სულიერ მამების აღზრდის ხელმძღვანელთა შეხედულებით არაყი და „სტუკოლკა“ უფრო შესაფერია სემინარიელებისათვის, ვიდრე სწავლების სურვილი.

⁂

ბევრი რამ დაიწერა განსვენებულ ფონ პლევეზე რუსულ გაზეთებში. ეხლა მოიგონეს გრაფი დ. ა. ტოლსტოი, ცნობილი მინისტრი, რომელიც [illegible] იყო არსებულ ბიუროკრატიულ წეს-წყობილების.

„პეტერბურგსკაია გაზეტა“-ში მოთავსებულია ერთი საუბარი ტოლსტოისა ბატონ ხუდეკოვთან:

> ჩემი დაცვის საქმე პეტერბურგშიო,—უთქვამს მინისტრს,—მინდობილი აქვს პოლკოვნიკ პუზანოვს. აი ამ პუზანოვს ვუთხარ: იცით, სად იმალება ხიფათი? ჩემ პირდაპირ. გაიხედეთ ფანჯარაში! იქ-კი გამოკიდებული იყო ფიცარი ზედწარწერით—რედაქცია გაზეთ „ნოვოსტი“-სა. სულ ეჭვში ვიყავ, რად უნდოდა ამ საძაგელ გაზეთს უთუოდ ჩემ პირდაპირ დამდგარიყო? გავიდა რამდენიმე დღე და მომახსენეს, რომ გაზეთ „ნოვოსტი“-ს სეკრეტარი გრეკოვი საეჭვო პირი არისო. მომიტანეს გრეკოვის სახელზე მოსული წერილი პარიზიდან. გავხსენი და წავიკითხე შემდეგი: „საყვარელო მამიდა! როგორია ბრძანდებითო“ და სხვა ამგვარები. მაშინვე ეჭვი ავიღე, სად „მამიდა“ და სად გრეკოვი! წერილი პლევეს გავუგზავნე. იქ სიმჟავე გადაასხეს და მამიდას მოსიყვარულე ძმისწულის მაგიერ ცნობილ ტერორისტის წერილი აღმოჩნდა, იმ ტერორისტისა, რომელიც ხელმძღვანელი იყო სუდეიკინის მკვლელობისა. გრეკოვი მაშინვე დაატუსაღეს.
>
> — რატომ თქვენს ოფიციალურ მოხსენებაში „ნოვოსტი“-ც არ ჩაურთეთო, უკითხავს ხუდეკოვს.
>
> — ეს ჩემი ბრალი არ არისო, უპასუხნია მინისტრს; სხვა მინისტრებმა შემიშალეს ხელი... დიდი ხანია მინდოდა ამ საძაგელ გაზეთის დახურვა, მაგრამ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის წევრები ურია-ნოტოვიჩს ეხმარებიან.

ტოლსტოის კოლეგები უფრო შორს გამჭვრეტი ხალხი ყოფილაო, ამბობს „რუს“-ი: არც ნოტოვიჩსა და არც „ნოვოსტი“-ს რევოლიუცია არ მოუხდენიაო.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფინლიანდიის წოდებათა 288 წარმომადგენელმა შემდეგის მოხსენებით მიმართა ფინლიანდიის სეიმს.

მთავრობამ უარჰყო ფინლიანდიის საერობო მოხელეთა უფლებანი და ისეთი დადგენილებანი გამოსცა, რომლებითაც დარღვეულ იქმნა ამ ქვეყნის ძირითად უფლებრივი წეს-წყობილება და კერძო პირთა უფლებანი. ამ ზომების შემოღებამ აღელვა ფინლიანდიის საზოგადოება. სენატის სამეურნეო დეპარტამენტის, საგუბერნიო გამგეობათა და მთავარ სამმართველოთა საქმის წარმოებაში შემოღებულ იქმნა რუსული ენა... გამოიცა უმაღლესი ბრძანება ფინლიანდიაში საზოგადო კრების შესახებ. 1902 წელს ადმინისტრატიულის წესით გამოცემულ იქმნა ფინლიანდიისათვის სამხედრო ბევრის წესდება და დადგენილება ადმინისტრატიულ და სამოსამართლო უწყებათა მოხელეების სამსახურიდან გადაყენების შესახებ; შეცვლილ იქმნა ზოგიერთი ნაწილები ფინლიანდიის სეიმის დებულებისა. უმაღლესი ბრძანებით შემოღებულ იქმნა ფინლიანდიაში ზომები სახელმწიფო წეს-წყობილების და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად; გამოცემულ იქმნა ინსტრუქცია ჟანდარმთა განსაკუთრებულ კორპუსისათვის.

თავმდაბლობას, ზომიერებას, სიწყნარეს, კეთილ-გონიერებას, პატიოსნებას, თუ-კი ორიოდე მისხალ ტყვიას შეუძლიან სიცოცხლე მომისპოს და მე, ოცის წლის ყრმა, მოვკვდები აუწერელ ტანჯვა-წვალებაში, გარშემო ეგდება ხუთი ან ექვსი ათასი უკვე მკვდარი ან სულთმობრძავი მეომარი. როცა თვალებს უკანასკნელად გავახელ, დავინახავ მშობელ ქალაქს, განადგურებულს ცეცხლითა და მახვილით, ჩემს ყურებამდის მოაღწევს უკანასკნელი ხმები,—ეს ბავშვთა და ქალთა ყვირილი იქნება, რომელნიც ნანგრევების სიმძიმის ქვეშ სულს დაჰლევენ. ყველაფერი ეს გაჰქრება და იღუპება დასაცველად ადამიანთა ინტერესებისა, რომელთაც ჩვენ სულ ვერ ვიცნობთ“.

აი როგორი გავლენა ჰქონია ომს: იგი, ვოლტერის აზრით, აქცევს სალდათს მკვლელად, ავაზაკად, ჯაშუშად, იგი არა თუ არავის არგია, პირიქით, სხვისი სარჩენელია, მეტი ბარგია: არათუ არაფერსა გვმატებს, პირიქით, რაც დიდის შრომით მოპოვებულია, იმასაც აოხრებს და უსარგებლოდ აქარწყლებს. გული გიწუხს, როცა გაიფიქრებ, რომ ყველა ის, რასაც ჩვენ, მეცნიერები, 50 წლის განმავლობაში ვუნერგავდით ხალხს გულში, შეიძლება გააქარწყლოს ერთმა ომმა“. ინგლისელი ორატორი ბრაიტი ამბობს: „მე სულით და გულით მეზიზღება ის, ვისაც ომი საჭიროდ მიაჩნია, ვინც ფიქრობს, რომ იმის აცილება არ შეიძლება იმიტომ, რომ ჟურნალ-გაზეთები და საზოგადოების ერთი ნაწილი მხარს უჭერს მთავრობას ამ საქმეში“.

მაგრამ ყველაზე მეტი ზიზღი ომისადმი გამოსთქვა ფრანგმა მწერალმა მოპასანმა თავის წიგნს „sur L'eau“. აი, რასა სწერს იგი: „როცა მაგონდება სიტყვა „ომი“, რაღაც ზიზღი მიპყრობს, თითოს ჯადოქრობასა და ინკვიზიციაზედ მელაპარაკებიანო, თითქოს მიამბობენ რაღაც შორეულს, წარსულს, საზიზღარს და ბუნების წინააღმდეგსაო. როცა კაცის მჭამელებზე არის ბაასი, თავმომწონებით ვიღიმებით, რადგან ჩვენ თავს მაღლა ვაყენებთ ამ ველურებზე. აბა, მიბრძანეთ ერთი, ვინ არის უფრო ველური, ნამდვილი ველური: ისინი, ვინც ომობენ იმისათვის, რომ დამარცხებული მტერი შესჭამონ, თუ ისინი, ვინც ომობენ მარტო იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მოჰკლან, თუნდაც ამან არაფერი სარგებლობა არ მოუტანოს? სალდათები, რომელნიც სომრად მიდიან, განწირულნი არიან სასიკვდილოდ, როგორც ცხვრების ფარა, რომელსაც ყასაბი მიერეკება. ისინი ესალმებიან წუთისოფელს ბრძოლის ველზე ხმლის ერთის დარტყმით ან გულში ტყვიით დაკოდილნი. ყველა ესენი ახალგაზდა კაცები არიან, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა, წარმოება, სარგებლობის მოტანა. მათი მამები მოხუცნი და ღარიბნი არიან; მათი დედები, რომელთაც თავიანთი შვილები ოცის წლის განმავლობაში უყვარდათ და ისე აღმერთებდნენ, როგორც მხოლოდ დედებს შეუძლიანთ,—ამ დედებს ექვსი თვისა ან ერთის წლის შემდეგ ამბავი მოსდით, რომ თქვენი ვაჟი, საყვარელი ბავშვი, დიდი ბავშვი, ასეთის სიმწარით გამოზრდილი, ჩააგდეს ორმოში, როგორც მკვდარი ძაღლი, მას შემდეგ, რაც იგი ზარბაზნის ყუმბარამ დაჰგლიჯა, ცხენოსანმა ჯარმა მერე ფეხებით გასრისა, გასჭყლიტა და დაამახინჯა. რისთვის მოუკლეს ბიჭი, ერთად-ერთი იმედი, რომლითაც იგი ამაყობდა, სცოცხლობდა? არაფერი არ იცის.

„დიდ, რისთვის?

„ომი!.. ბრძოლა!.. მოკვლა!.. ადამიანების ჟლეტა!.. განათლებასთან ერთად, ფილოსოფიისა და მეცნიერების სიდიდესთან, რომლის წყალობითაც, ჩვენის აზრით, ჩვენ მივაღწიეთ უმაღლესს განვითარებას, ყველა ამასთან ერთად დაგვიარსებია სკოლები, სადაც ასწავლიან კაცთა კვლას და მერე როგორს? კვლას ხელოვნურად, შორიდან, უბედურ, უდანაშაულო კაცების კვლას, რომელთაც უპატრონოდ რჩებათ ოჯახი, განუკითხავად იმათ წინანდელი ცხოვრებისა. ჩვენ სულ ასე ვიქმნებით განმსჭვალულნი ჩვენის საზიზღარის ჩვეულებებით, ვიქნებით გასაკიცხავის ცრუ-მორწმუნეობების, ბარბაროს წინაპრების ველურ აზრების სიმძიმის ქვეშ, რადგან ნადირები ვართ და ნადირებათვე დავრჩებით მანამდის, სანამ ჩვენში ინსტიქტი იქმნება გამეფებული.

„ომს ეხლა უფრო თაყვანს სცემენ, ვიდრე ოდესმე. ამ საქმეში დაახლოვებულმა ნიჭიერმა მკვლელმა მოლტკემ წარმოსთქვა მშვიდობიანობის დელეგატების წინაშე შემდეგი სიტყვები: „ომი წმიდაა, ის ღვთისაგან დაწესებულია. იგი საქვეყნო კანონია. იგი ანვითარებს ადამიანში სხვა-და-სხვა კეთილშობილურს გრძნობებს: პატიოსნებას, უანგარობას, ქველობას, მხნეობას, ერთის სიტყვით, ომი ხელს უშლის საზიზღარ მატერიალიზმის გამეფებასაო.“ ამიტომ ის ოთხასი ათასი კაცი, რომელნიც შეადგენენ ერთს ფარას, დადის შეუსვენებლად დღისით და ღამით, არაფერზედ არა ფიქრობს, არაფერი იცის, არაფერს არა სწავლობს, უმეცარია, ყველასათვის უსარგებლოა, ლპება და სძინავს ლაფში, სცხოვრობს უგუნურ პირუტყვების მსგავსად მუდმივს სიჩლუნგეში, ქალაქებს სძარცვავს, სოფლებს სწვავს, ხალხს იკლებს, მერე სხვა თავისსავე მსგავსს ჯგუფებს ეცემა, ჰღვრის მრავალ სისხლს, დიდ მინდვრებს ადამიანთა ხორცით ავსებს და ურევს გასისხლიანებულს და ატალახებულს მიწას, გვამების ხორცს ახოხოლავებს, დიდძალი ხალხი რჩება უხელოდ, უფეხოდ ან თავგატეხილი. თუ ამით მას არავისთვის სარგებლობა არ მოაქვს, კვდება სადმე ველად მაშინ, როცა იმისი მოხუცი დედ-მამა, იმისი ცოლი, შვილები შიმშილისაგან იხოცებიან,—აი ვინ „უშლის ხელს საზიზღარ მატერიალიზმის გამეფებას“.

„ვებრძვით ბუნებას, უმეცრებას, ყოველგვარ დაბრკოლებას, რომ კაცობრიობას ცოტა ტანჯვა მაინც ჩამოვაშოროთ. ჩვეულებრივი ადამიანები, ქველ მოქმედნი, მეცნიერნი მთელს თავიანთ სიცოცხლეს იმას იძიებენ, თუ რით შეიძლება მოყვასის დახმარებაო. ყველა ესენი ერთგულად ასრულებენ თავიანთ წმიდა მოვალეობას. გვამდიდრებენ ახალ აღმოჩენებით, აფართოებენ კაცის გონებას, ამდიდრებენ მეცნიერებას, ყოველ დღე ჰმატებენ სამშობლოს კეთილდღეობას, კმაყოფილებას, ძალ-ღონეს. მერე დაიწყება ომი და გენერლები ექვსის თვის განმავლობაში აქარწყლებენ ოცის წლის შრომის, აღმოჩენების ნაყოფს. აი ამასა ჰქვიან „ხელს უშლის საზიზღარ მატერიალიზმის გამეფებასაო“.

„ჩვენ გვინახავს ომი. გვინახავს ისინიც, ვინც ომში გაპირუტყვებულან, გონება დაუკარგავთ, ვინც ომში პოულობენ ან მოელიან ქება-დიდებას. მოვსწრებივართ ისეთ დროს, როცა უფლება სწყვეტს არსებობას, როცა კანონი უქმდება, როცა ყოველივე სამართლიანობა ჰქრება, როგორ კვდებიან, იჟლიტებიან უდანაშაულო ადამიანები... რომელნიც იმიტომ შეიქმნენ სიკვდილის ღირსნი, რომ შეეშინდათ...

დარბევა რომელიმე ქვეყნისა, გაჟლეტა ხალხისა, რომელიც იცავს თავისს საცხოვრებელს, დახოცვა ადამიანისა მხოლოდ იმიტომ, რომ ისე არ არიან ჩაცმულნი, როგორც ჩვენ, გადაბუგვა ათას ღარიბ-ღატაკის სარჩო-საცხოვრებლისა, იმ ღარიბებისა, რომელთაც ლუკმა-პურიც-კი ენატრებათ, დალეწა ავეჯისა, მოტაცება და შესმა მარანში ნაპოვნ ღვინისა, გაუპატიურება ქუჩაში გავლილ ქალებისა, დაწვა აუარებელ თოფის წამლისა, შიმშილისა და ხოლერის გავრცელება,—აი რასა ჰქვია, „ხელს უშლის საზიზღარ მატერიალიზმის გამეფებასაო“.

„რა გააკეთეს სამხედრო წოდების წარმომადგენლებმა ისეთი, რაც ამტკიცებს იმათ ინტელიგენტობას, გონებრივს განვითარებას?—არაფერი. რა მოიტანეს იმათ?—თოფი და ზარბაზანი—განა ურმის გამომგონმა მეტი სარგებლობა არ მოუტანა კაცობრიობას თავის უბრალო და პრაქტიკულ გამოგონებით, ვიდრე თანამედროვე ციხე-სიმაგრეების გამომგონმა?

„რა დაგვრჩა საბერძნეთისაგან?—წიგნები და მარმარილო. რით იყო დიდი საბერძნეთი: იმით, რითაც მტერი დაამარცხა, თუ იმით, რაც გონებით, ნიჭით შეჰქმნა?

„განა სპარსელების დარბევამ ბოლო მოუღო მათ შორის „საზიზღარ მატერიალიზმის“ გამეფებას? განა ბარბაროსების შემოსევამ იხსნა და აღორძინა რომი? განა ნაპოლეონ პირველმა განაგრძო დიადი გონებრივი მოძრაობა, დაწყებული მე-18 საუკუნის ფილოსოფოსების მიერ?

„ამის შემდეგ ნუ თუ ათასჯერ მართალნი არ არიან ისინი, ვინც მედგრად გაიძახიან: „ომი ომსაო!“

ინ-კან.

ამნაირად დარღვეულ იქმნა ფინლიანდიაში კანონზე დამყარებული წეს-წყობილება; გაუქმდა ფინლიანდიის მცხოვრებთა უფლებანი და თავისუფლება, შეზღუდულ იქმნა ფინლიანდიის ერის ნაციონალური მისწრაფება, ფინლიანდიის სეიმის მოქმედების ასპარეზი და საზოგადოებრივი თვით-მმართველობა.

მთავრობამ დაამყარა ფინლიანდიაში ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის ძირითად კანონებზე დამტკიცებულ საკონსტიტუციო წეს-წყობილებას. ფინლიანდიის ხალხი მწუხარებამ შეიპყრო; მთელი ერი მონატრულია დაუბრუნდეს თავის ძველ, მშვიდობიან ცხოვრებას. ამ მოხსენების დამწერნი დარწმუნებულნი არიან, რომ ფინლიანდიის სეიმის წევრნი წინანდებურად გულახდილად და ჭეშმარიტად გაუმხელენ ხელმწიფეს ერის ფიქრებსა და სურვილს, სთხოვენ საერობო მოხელეთ მოხსენებით მიმართონ მის უდიდებულესობას ფინლიანდიაში ძველ კანონიერ წეს-წყობილების აღსადგენად.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი დადგენილებანი, მაგალითად, ეგრედ წოდებული ბრძანება დიქტატურის შესახებ და სამხედრო ბევრის წესდება, რაც შეიძლება, საჩქაროდ უნდა იქმნან გაუქმებულნი, ფინლიანდიაში წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენად, რადგან ამ კანონებმა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენეს ფინლიანდიის ერი. ამ დადგენილებათა გაუქმება შეიძლება უმაღლესის ბრძანებით, დაუბრკოლებლად.

◆ 8 დეკემბერს სოფლის საჭიროებათა გამომრკვევი განსაკუთრებული საბჭო შეუდგება ადგილობრივ კომიტეტებისაგან წარდგენილ მასალის განხილვას. საკითხი შეეხება გლეხთა უფლებებს და მიწის საკუთრებას.

◆ „რუსი“ იუწყება, რომ ამას წინად რუსეთის სახელ-განთქმული მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი დიდ საფრთხეს გადარჩა. ლ. ნ. ჩვეულებრივად სეირნობდა ცხენით: უეცრად ცხენი დაუფრთხა, გვერდზე გადახტა და ტოლსტოი გზის პირად თხრილში გადმოაგდო. საბედნიეროდ, ლ. ნ. უვნებლად გადარჩა.

◆ „ადეს. ნოვ.“-ის სიტყვით, 29 ნოემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის 1500 სტუდენტმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს გომელში თავდასხმისაგან დაზარალებულ ებრაელთა დამცველებს. ამგვარივე თანაგრძნობის დეპეშა მიუვიდათ დამცველებს აკკერმანის საზოგადოებისაგან.

◆ ვარშავიდან დეპეშით აცნობებენ გაზ. „რუსკ. სლოვო“-ს, რომ ფულის ბაზარს უკეთესობა დაეტყო: გაკოტრებულებისა და პროტესტში გამოცხადებულ ვექსილების რიცხვმა იკლო.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ამას წინად ყველა უფლებები დაუბრუნეს ტვერის გუბერნიის ვესიეგონის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. ი. როდიჩევს, რომელსაც 1895 წელს აეკრძალა საზოგადო მოღვაწეობა.

◆ მოსკოვის სტუდენტების ერთმა ჯგუფმა 26 მანეთი გაგზავნა გაზ. „რუსკ. ვედ.“-ის რედაქციაში მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესსორის ტიმირიაზევის სახელობაზე სტიპენდიის დასაარსებლად. წერილში გამოთქმულია სტუდენტების ღრმა პატივისცემა ტიმირიაზევის მიმართ, რომელიც დაუღალავად იბრძოდა რუსეთში მეცნიერების თავისუფლებისათვის და სტუდენტების გულწრფელი მეგობარი იყო.

◆ ციმბირის ქალაქ ბლაგოვეშჩენსკს მეტად მძიმედ დასტყობია რუსეთ-იაპონიის ომი. მრავალი მუშა ხალხი სამუშაოს ვერ შოულობს, ულუკმა პუროდაა დარჩენილი და მათხოვრობს.

◆ მომავალ წელს პეტერბურგში გაიხსნება ქალთათვის ხუროთმოძღვრებისა და ტეხნიკური კურსები.

წერილები

ახალ-სენაკი. რაც დღე მიდის, უფრო ხშირდება და ხშირდება ქურდობა და ძარცვა-გლეჯა. სხვის ქონების მოტრფიალე ვაჟბატონები არც დღისით ასვენებენ მცხოვრებთ და არც ღამით: უშიშრად და გაბედულად მოქმედებენ. ან რისა უნდა ეშინოდეთ? ხალხს ცოფიანი ძაღლის მოსაგერებელი იარაღიც არა აქვს, არა თუ ბერდანის თოფებით შეიარაღებულ ავაზაკების პასუხის გასაცემი! ამ ვაჟბატონებმა ეს კარგად იციან და ამიტომაცაა, დღისით—მზისით უშიშრად რომ მოქმედებენ. ამას წინად ს. ნახურცილოუს ნაშუადღევს დაეცნენ მღვდელს ი. ჯა—ხის: ცოლ-ქმარი დაკოდეს და დაასახიჩრეს, როგორც თუ გაჰბედეთ ყვირილიო; თუ რამე ებადათ, ჯიბეებში ჩაილაგეს და არხეინად გაუდგნენ თავიანთ გზასა. მღვდლის ცოლის ყვირილზე შეგროვდა მთელი სოფელი (ხუთას კაცამდის ვიყავითო, მიამბეს). მაგრამ რას იზამდა? „ჩვენც კარგად ვიცით, რომ თქვენში ურევია გულადი კაცები, მაგრამ ბერდანის ტყვია უშიშარსა და მხდალს ათანასწორებს, დაწექით ყველანი, თორემ ბოლო მოგიღეთო!“ უბრძანეს ყაჩაღებმა; და ეს მილეთის ხალხი, ცივ მიწაზედ გაშხლართული, ცახცახით უყურებდა, თუ როგორ სძარცვავდნენ და აწვალებდნენ ავაზაკები მოძღვარსა და იმის ცოლს! ასევე ხალხის თანადასწრებით გაძარცვეს სოფელ ჯოლეუს მცხოვრები პავლე მიქავა და წაართვეს 250 მანეთი. იგივე ბედი ეწვიათ სოფ. ბეთლემის მცხოვრებ აზ. საჯაიასა და ს. გურზემის მცხოვრებს სოფლის ვაჭარს მესხს. რამდენი ერთი ჩამოვთვალო! ხალხის დამცველნი-კი თავისს კოხტა ულვაშებს ისწორებენ და არშიყობასა და ბანქოს თამაშში ატარებენ დროს! ან რისთვის არ იარშიყონ და არ ითამაშონ, თუ საარშიყო საგანიცა და სათამაშო ფულიც არ შემოელევათ?!

იგივე

განჯა. თითქმის ათი წელიწადია, რაც განჯაში ქართული საღამო იმართება ყოველ წელიწადს „ქ. შ. წ. გამ. საზ.“ სასარგებლოდ. მაგრამ ამ ძველ სიმპატიურს ჩვეულებას მგონი, რომ წელს უმტყუნოს აქაურმა საზოგადოებამ. საღამოს გამართვის შესახებ ჯერ-ჯერობით მხოლოდ მითქმა-მოთქმაა აქაურს საზოგადოებაში, ნამდვილად კი ხელი არ მოუკიდნიათ. ამ მითქმა-მოთქმამაც მხოლოდ ის აზრი დაბადა, რომ წელს განჯელი ქართველობა ვერას მოახერხებს. ამავე „მითქმა-მოთქმით“ მხოლოდ გაზაფხულისთვის აპირებენ, ე. ი. 1905 წელს, როცა მეორე საღამო უნდა გამართონ, მაშასადამე ერთს წელიწადს ორს აპირებენ და წელს კი არც ერთს. ასე შორს გადადება საქმისა, მგონი, იმის ნიშანია, რომ ესენი მხოლოდ თავიანთ გულს ამშვიდებენ: „ოდესმე ხომ გავმართავთო“, მაგრამ ეს „ოდესმე“ მოგეხსენებათ, რა თვისნება ბატონია: ის ხშირად იცვლის ადგილსა და დროს, მოდი და მიჰყევ. შესაძლებელია რამე დაბრკოლება ჰქონდეს წელს აქაურს ქართველობას, მაგრამ არც იმდენად, რომ თუ გული გულობს ქადა ორი ხელით ვერ აიღონ. მაგრამ სწორედ რომ გული არა გულობს და უპირველესი მიზეზიც ესაა. არა, გაზაფხულისთვის რომ გადადეს, მაშინ, რაღას მოელიან, ერთი ჰკითხოთ კაცმა! ორი და სამი თვე ვერ შესცვლის ჩვენ სიზარმაცეს, დაუდევრობას და კიდევ აქა-იქ მალულობას. ვისი და რისა ეკრძალებათ, გულში ყველამ იცის. მაგრამ ერთმანეთს კი, მგონი, არ უმჟღავნებენ. ვერც ეს ორი და სამი თვე შესძენს მათ სიგმირეს.

ჩემის აზრით, რომ არ უმტყუნონ წინანდელს თავის ტრადიციას და წელსვე მოაგვარონ საქმე, არაფერი არ გაუჭირდებათ, თორემ თუ წელს ვერ გაუმართავთ ერთი საღამო, საიდან შესძლებენ მერმისს ორის გამართვას!

ისმაილ

თელავი. თელავი პატარა ქალაქია, საყურადღებო და გასართობი ამბები ძლიერ ცოტაა და თუ რამე მოხდება, თუნდ უმნიშვნელო, ხელზე დაიხვევენ, გადააკეთ-გადმოაკეთებენ, ჩააქსოვ-ჩააკერებენ და რამდენსამე დღეს სამასლაათოდ აქვთ გამხდარი. თელავი პირიკანა ქალაქია და გორის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს საქართველოშიო, გამიგონია ბევრჯელ. ამ ჟამად ამაზე არ მოგახსენებდით, მაგრამ სიტყვა სიტყვამ მოიტანა და ცილი დამაწამებინა. დიახ, პატარა ამბებს დიდად შეჰქმნიან და ყველა სალაპარაკოდ გაუხდებათ. აი მკვდარმა ცოცხალი მოჰკლაო, ლაპარაკობენ. 5 დეკემბერს ტფილისიდან მიცვალებულს მოასვენებდნენ შუამთის მონასტერში დასაკრძალავად. გზაზე, ალბად, კარგი გზის გამო, ბალდახინი გადაბრუნებულა, კუბო ჩამოცურებულა და მეეტლე მოუყოლებია ქვეშ და ისე ძლიერ დაშავებულა, რომ გარდაცვლილა. ამავე დღეს თელავიდან გაასვენეს ამას წინად სოფელში დაჭრილ და ჭრილობისაგან გარდაცვლილ ურიადნიკის გვამი. ჩინებული პროცესიით გააცილეს, დაესწრნენ პოლიციის მოხელენი და სხვა ხალხი, გვირგვინით შეამკეს კუბო, სამხედრო მუსიკა მიიწვიეს და სხვა. დიდ ქალაქებში ამას ყურადღებას არავინ მიაქცევდა, აქ-კი მაინც ლაპარაკობდნენ, თანაც ადარებენ სხვა-და-სხვა პროფესიის წრეებს, თუ როგორ იქცევიან ჭირსა და ლხინში და როგორ პატივსა სცემენ და აფასებენ თავიანთ პროფესიას. მგონი, ამ ერთი წლის წინად თელავში გარდაიცვალა მოხუცი პედაგოგი, ერთ აქაურ სასწავლებელში ზედამხედველად ნამყოფი და ყველასაგან ცნობილი. როგორ დააფასეს მისი ღვაწლი? ან მისმა პროფესიის ჯგუფმა მოიგონა-კი! რასაკვირველია, არა. ან რა უნდოდათ, განა ეს დღეობა იყო, რომ სადილად (თელავში იაშვიათი დღეობა იქნება უსადილოდ) კარგი დრო გაეტარებინათ და კახურით გამხიარულებულთ სიმღერა შემოეძახნათ. იქნება ასე ნეტარ ყოფნის დროს სურათიც გადაეღოთ. ერთი ასეთი სურათი მთელი ზაფხული გამოკიდებული იყო ქუჩაში. მაყურებელნი ერთმანეთს უხსნიდნენ ეს „უჩიტლები“ არიან, აი ეს კაკარდოსანი, ღვინო რომ უჭირავს, ეს ღვინოს რომ ასხამს, ეს რომ სვამს და სხვა. არც ამათ მინდოდა შევხებოდი, მაგრამ სიტყვამ მოიტანა. მამაკაცებს ჩვენი დედაკაცებიც არ ჩამორჩებიან დროს გატარებაში—შინ და გარეთ, ალაზანს და შუამთაში სადილის დროს სურათების გადაღებაში. იქნება ეს იყოს მიზეზი, რომ ეხლა თელავში ორ-ორი ფოტოგრაფია, წინად თუ მარტო ერთი იყო და იმის ანაბარას იყვნენ, ეხლა, პირიქით, მეორის წყალობით, რომელიც ტფილისიდან გვესტუმრა ხალხის ანაბარას არიან და კი ამისთვის ამ ბოლო დროს განცხადებას ზედიზედ აკრავენ და ყველას თავისკენ იწვევენ. მაინც დღეს თელავში ურეკლამოთ არაფერი კეთდება ერთის მეტი. რასაკვირველია, თელაველი მკითხველი მაშინვე მიჰხვდება და მომაძახებს: ლოტოვო. დიახ, ლოტოს არც განცხადებები უნდა, არც ქებათა ქება. პირიქით, ერთხელ რომ იწვევენ, ორჯელ მიდიან, რაკი ლოტოს სუნი მიუვათ. ლოტოთი ირთობენ თავს ჩვენი დედები, ბებიები, ლოტოთი ჰკრეფენ საქველმოქმედოთ ფულს და ლოტოს კოჭებით ასწავლიან შვილებს ციფირებს. ეს უფრო საშვილიშვილო საქმეა. არც საკვირველია, „ლოტოში“ იბადებიან და სამშობლოს დავიწყება რომ მოღალატეობას ჰნიშნავს.

დეკადენტი

ჭალადიდი. ქურდობამ და ავკაცობამ თან და თან იმატა. ნოემბრის გასულს პატარა ფოთის მცხოვრებს იულონ ქვარცხიასა და ფილუ ჯაკობიას მოჰპარეს ცხენები. ერ ორი ცხენი თექვსმეტ თუმნად ჰღირდა. ამიტომ პატრონები შეუდგნენ ძებნას, მაგრამ შორს ძებნაც არ დასჭირდათ, რადგანც გამოჩნდნენ „კეთილი ადამიანები“ რომლებმაც „აღმოაჩინეს“ ნაქურდალი. ჯერ არ დაუბრუნებიათ პატრონისათვის,—ვაჭრობენ „საპოვნელ ფულზე“ და ვნახოთ როგორ გარიგდებიან...

სოფ. საჭოჭუოს კიკოია ხოხობიას მოჰპარეს ცხენი, ექვს თუმნად ღირებული. ამის „მპოვნელიც“ აღმოჩნდა, მაგრამ, ვიდრე სამი თუმანი არ მისცა პატრონმა „სამნახველო“, ცხენი არ დაანება. ამავე სოფლის მცხოვრებთ არჩილ ჭოჭუას და ჭოჭუას ქვრივს მოჰპარეს კამეჩები. ბევრი ეძებეს, მაგრამ კარგად იცოდნენ იმათი სიღარიბის ამბავი, რომ „საპოვნელას“ ვერ გაიღებდნენ და ამიტომ არც „მპოვნელი“ აღმოუჩნდა იმათს საქონელს. მღვდელს რომანოზ გვამიჩავასაც მოჰპრეს ერთი უღელი კამეჩი, და ესეც უკვალოდ დაიკარგა, რადგან მღვდელი არაფერს გაიმეტებს „საპოვნელადაო“, ალბად, იფიქრეს „კეთილმა კაცებმა“. სოფელ საგვამიჩაოს მცხოვრებს თომა გვამიჩავას მოჰპარეს თუთხმეტ თუმნად ღირებული ორი ცხენი. საწყალმა გამოსახსნელი ფული ვერ იშოვნა და დარჩა უცხენოდ. ასეთი ამბები ძალიან ხშირია ჩვენში.

ჭალადიდს სიგრძე 70 ვერსი და სიგანე 15 ვერსი ექნება. ამ სოფელს შუაში ჩაუდის მდინარე რიონი, რომლითაც მთელი ეს მიდამო სარგებლობს: იჭერენ ზუთხებს, მოაქვთ სხვა და სხვა საქონელი ამ მდინარით და სხვ. ამ წლამდე ამ ვრცელის სოფლის მცხოვრებნი ჭირსა და ლხინში განუყრელი ვიყავით, მივდიოდით ერთმანერთთან, ერთი მეორის ავსა და კარგს ვინაწილებდით, მაგრამ წელს ესეც მოგვესპო, რადგან წვრილი ქურდობა ამ სტუმრობა-მისვლა-მოსვლის დროს უფრო გავრცელებულია. ამ შემთხვევაში უფრო შევიწროებულ მდგომარეობაშია მდინარე რიონის სამხრეთი ნაწილი. ქურდები აღარ ზოგავენ არც სტუმარსა და არც მასპინძელს. აღარც შიში აქვთ რისამე.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 დეკემბერი

სოფია, 12 დეკემბერი (ოფიც. წრეებ.). საერო კრებაზე კამათი იყო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. 11 მილიონ ფრანკს შემოსავალს ელიან და ამდენსავე ხარჯს. ოპოზიციის ორატორებმა სთქვეს მინისტრის წინააღმდეგ, გასული წელიწადი განსაკუთრებით კარგი იყო და ეს გარემოება არ უნდა დაედვას საფუძვლად ხარჯის გადიდებისათ. ორატორებს მეტად მიაჩნიათ ხარჯი ფლოტისათვის და ბერლინის, პარიზის, ვენისა და რომის სააგენტოებისათვის.

იურიევი, 12 დეკემბერი. უნივერსიტეტმა გადაიხადა 120 წლის იუბილეი.

ჩერნიგოვი, 12 დეკემბერი. საგუბერნიო საერობო კრების სხდომა არ მოხდა, რადგან არ დაესწრო ხმოსნების კანონიერი რიცხვი. კრება ოფიციალურად დაიხურება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 9 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	92½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅛
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	425
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	266½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	99½
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	87⅛
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	238

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში ისყიდება:

1) დარჩენილი ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა-და-სხვა ჯიშისა: **Rupestris mont., Riparia gl.** და **Ripariax Rupestris101$\underline{14}$.**

3). ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: **Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну.** (15—10)

ახლად გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, **ორი** ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—42)

№ 4711

ო-დე-კოლონი

№ 4711 ო-დე-კოლონს საუცხოოსუნნელება აქვს და ძალიან კარგად მოქმედებს. ახლა ამ ო-დე-კოლონს ხმარობს მთელი კაცობრიობა.

ფერდ. მიულჰენს

რეინის კელნი

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

მომწვანო ოქროსფერი ეტიკეტი.
4711

(6—მც.—1)

აფხანაურის ამერიკულ ვაზის სანერგე

მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკული ვაზები Riparia და Rupestris, აგრეთვე დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები.

ადრესი: **„Ст. Ріонъ З. Ж Д“.** პირველ დეკემბრიდან: მიხრან ალექსანდრეს ძე **ანანოვს.** (6—395—2)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—91)

დაიბეჭდა და ისყიდება

კალენდარი „ცოდნა“

◆ თითო ღირს ორ შაურათ ◆

ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის, დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის

დიდი სურათი

დაიბეჭდა ფოტოტიპიით სუფთად ბრისტოლის მთელს თაბახზე

◆ **ღირს ათ შაურათ** ◆

ვინც ათს ერთბაშად ჩალდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორ აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—35 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „Цодна“.

სოსიკო მერკვილაძე. (12—5)

« იგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა »

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოემა ბაჩანაჩი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი, ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივ II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ზოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	1	—

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ.სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—8)

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.